№ 96. 3 მაისი, ხუთშაბათი. 1866—1884 3 მაისი, ხუთშაბათი. № 96.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი პირველის მაისიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი.

### შინაური ქრონიკა

— ამას წინად იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რომ შირაქისა და ელდარის მინდვრებზედ ცხვრის ძოვების ნება ზამთრობით მხოლოდ თუშებსა და სხვა სახელმწიფო გლეხებს მიეცათო, ასე რომ ცხვრის პატრონი მებატონეები იძულებულნი შეიქმნებიან საძოვარი ადგილები გლეხებისაგანვე აილონ იჯარითაო. ამ შემავიწროებელ გარემოებას შეუწუხებია ზოგიერთა კახეთის მებატონეები, რომელთაც მიუმართავთ თხოვნით მთავრობისადმი, რომ ეს წესი შეიცვალოს და იმათაც მიეცეთ ნება საძოვარი ადგილები ხსენებულ მინდვრებზედ იჯარით აილონ ხოლმე. როგორც შევიტყვეთ, მთავრობა დაჰპირებია ამ წესის შეცვლას.

— მკითხველებმა იციან, რომ მალე გამოვა ცალკე წიგნად „ვისრამიანი“, რომელიც აქამდის ბევრს ორიგინალური თხზულება ეგონა. ერთი ახალ-გაზდა მსწავლული იწერება პეტერბურგიდამ, რომ „ვისრამიანი“ ძველის სპარსულის (ფეხლეურის) ხელთნაწერებიდამ უნდა იყოს გადათარგმნილი. ნემეცური თარგმანი ამავე ხელთნაწერისა (რომელიც ეხლა დაკარგულია) დიდი ხანია თურმე, რაც გამოცემულია.

— პარასკევს საღამოს თბილისში ნავთის-მწარმოებელთა კომისიამ გასინჯა ამერიკელის ტვედლის პროექტი შესახებ ნავთის მილების გაყვანისა კასპიის ზღვის ნაპირ-ნაპირ ამიერ-კავკასიისაკენ და იქიდამ სოხუმამდე. კომისიამ უარ-ჰყო სრულიად ტვედლის პროექტი და გადასწყვიტა, რომ საჭიროა ჩვენს რკინის გზაზედ მომეტებული ლოკომოტივები მუშაობდენ და მომეტებული ნავთის ზიდვა შეიძლებოდესო.

— სოფ. ხაშმიდამა გვწერენ, რომ იქ ამ ჟამად ყივანხველაა თურმე გავრცელებული.

— სამეგრელოდამ გვწერენ, რომ იქ ერთ «ტაძრობა» დღეს დიდი ჩხუბი მომხდარა და ვიღაც ალანიას საშინლად დაუჭრია ერთი ცოლისა და წვრილ-შვილის პატრონი კაცი, გვარად ლოლუა. საჩხუბრად აქეზებენ თურმე იმისთანა პირნი, რომელთაც პირ-და-პირ ვალად აწევთ მშვიდობის დამყარება უქადაგონ ხალხსა.

— კავკასიის ებრაელებს შეუტანიათ თხოვნა მთავრობასთან, რომ კანონით იგივე უფლება ჰქონდეთ მათ მინიჭებული, რაც საზოგადოდ კავკასიელებსა აქვთ. ჩვენ ყოველთვის ამ გვარი უფლება გვქონდა მოცემულნი შემდეგ იმისა, რაც ადგილობრივი ენა და ჩვეულება შევითვისეთო, ამბობენ ებრაელები თავიანთ თხოვნაში („მოს. უწყ.“).

ბ—რის სტანციიდამა გვწერენ, რომ იქაური სტანციის უფროსი ისე ეწყობა ღვინოს, რომ ხშირად ბილეთისათვის მოსულ პასაჟირებს უბილეთოდ სტოვებს. 23 აპრილს თურმე ამ გვარსავე მდგომარეობაში ყოფილა და როცა გაუსტუმრებია მატარებელი, მივარდნია ერთს ყმაწვილ-კაცს, გვარად კ—ძეს თავის თანა-შემწით და დაუწყვია ცემა—«შენ იმდენი ღვინო რად დაგვალევინე, რომ ფეხზედ ვეღარა ვდგებითო». კ—ძე თურმე არც კი იცნობდა სტანციის უფროსს და ამ გვარ შეურაცხებაზედ მეორე დღესვე საჩივარი შეუტანია. საკვირველი ის არისო, რომ სტანციის ჟანდარმებს ამ გვარ უკანონობაზედ აქტი არ შეუდგენიათო.

— «წერა-კითხვის საზოგადოების» გამგეობას მოუვიდა პეტერბურგიდამ თ. ვ. მაჩაბლისაგან მოგროვილი 500 მანათი ქართული სახელმძღვანელო წიგნების გამოსაცემად.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვის 9-ს სცენის მოყვარენი ბორში აპირობენ წარმოდგენის გამართვას «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქნება «ხანუმა», და შემდეგ დივერტისმენტი.

### რუსეთი

— ავსტრიის პოლშური გაზეთების სიტყვით, ამ დღეებში პეტერბურგში დაუტუსაღებიათ გაზეთი «ნოვოსტის» რედაქციის სეკრეტარი, ბრეკოვი. აგრეთვე ამ რედაქციის სადგური გაუჩხრეკიათ. ერთი პუბლიცისტიც დაუტუსაღებიათ, რომელიც ჩამომავლობით დანიიდან არის. ამის დატუსაღების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ნიჰილისტებს თურმე თანაუგრძნობდა და უცხოეთის გაზეთებისთვის სწერდა წერილებს, რომლებშიაც აცხადებდა სიძულვილს რუსეთისა და მის აწინდელ წყობილებისადმი.

— ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ მაისში პეტერბურგში სახალხოდ გა-

### «დროების» ფელეტონი 3 მაისი.

* * *

წყნარად გაქრენ ვარსკვლავები
მოწმენდილ ცასა,
სხივ-მარგალიტი დააფრქვიეს
დედა-მიწასა
და არე-მარე, მწვანის ფარჩით
მორთული ნაზად,
ციურს აშიყებს შესთამაშობს,
ცელქობს მალხაზად.
მთა, მინდორ-ველი გადაშლილან,
ტურფად მწვანობენ,
ვარდი, ზამბახი ღამის ნამში
ბანოვანობენ
და დაუმცხრალი, შორის მხრიდამ
შორეს მფრინავი,
ნეტარ ბუნებას ტკბილად უქრის
ღამის ნიავი.
იმის სიგრილეს მკერდს უშლიან
კლდის ნაპრალები,
სიცილ-შხაპუნით ჩახრიალობენ
მთის წყაროები,
და გაშმაგებით მომგრგვინავი,
დაუმძინარე,
წივილ-კივილით მოჩუხჩუხობს
მკაცრი მდინარე...
და ბოლოს წყნარად ჩამოჰკიდა
ბუნებამ თავი,
მიჩუმდენ მთები, წყლის ხმა მისწყდა,
ჩადგა ნიავი
და პირზედ შერჩა გაფურჩქნილ ვარდს
ტკბილი ღიმილი.
წამოეპარა ნაზ ბუნებას
ღამისა ძილი
და მიეძინა.—რუს ნაპირზედ
ჩასახლებული,
თითქოს ამ ტკბილ წამს უცდიდა
მშვიდი ბულბული;
აიმღერა მან ზღვა გული,
დაიწყო მღერა,
და შორს, შორს ჰქრება ცის სივრცეში
მისი ხმის ჟღერა.
რაც რომ გულში მაქვს საიდუმლო
და დაფარული,
დიდის ხნიდამვე ყველასა გრძნობს
თურმე ბულბული,
და ეს სევდის ხმა გულ-მოკლულად
შორს რომ გაისმის,
ჩემივე დარდი ამ მოთქმაში
მევე მომესმის...
მღერე, ბულბულო, ვგრძნობ და მესმის
ეგ მწველი სტვენა,
დიდის ხნითა მაქვს შესწავლული
მე შენი ენა;
რასაც საუბრობთ ერთმანერთში
შენ და ბუნება,
ყველას უტყუვრად ჩემი გული
მე მეუბნება.
ტკბილის ოცნებით მხოლოდ ვსტოცხლობ
შენსავით მეცა,
მახარებს ტურფა გაზაფხული,
ლაჟვარდი ზეცა,
ამწვანებული ველ-მინდორი,
წყაროთ ჩხრიალი,
ვარდისა ფურჩქვნა და ეგ მკვლელი
ხმისა კრიალი.
დაბადებიდამ დამყოლია
მე შავი ბედი,
მაგრამ არ ვკვდები,—მასაზრდოებს
რაღაც იმედი.
და როს უკაცურს ალაგს მჯდარი
ყურს ვუგდებ შენს ხმას,
სული მიშვიდთავს და მკერდშივე
ვჰკლავ ჩემს გულის თქმას.
ჰკვნესე, ბულბულო, განუწყვეტლად
ეგ ტკბილი «ნანა»,
და როცა მივჰქრე, მივატოვო
მე ეს ქვეყანა,—
ჩემს სამარეზედ ყოველს ღამეს
მოდი, მომნახე,
შემოჯექ იქვე ვარდის ტოტზედ
და ჩამომძახე:
როგორ ამკობენ ვარსკვლავები
ცასა ლაჟვარდსა,
აშიყი ვაზი ვით ეხვევა
მღიმარე ვარდსა,
და გულ-ანთებულთ, ბუჩქის ძირში
ჩასაფრებულებს,
ვით გადმოსცქერის ციდამ მთვარე
შეყვარებულებს.
თუ სცნო, მგოსანო, იმათ გულში
უმანკოობა,
ეცადე, არვინ დაურღვიოსთ
მათ მყუდროობა...

როს დაჩაგრულმა გაიმართოს
გახრილი წელი,—
ჩამძახე, ალელვებით
ჩამძახე თავზედ,
ზესთა ძალები შემოკრიბე
ჩემსა საფლავზედ,
რომ მკვდრეთით აღვსდგე, ლხენით გული
მეც ავიძგერო
და სიმართლის მცველს,
მუდმივ ვუმღერო...

ცახელი.

### პროფესორი პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები.

(შემდეგი *)

თუ ისტორიულ ჭეშმარიტებად ავიარებთ იმ აზრს, რომ ეგვიპტელთ მუშანე, დაბადების მოსოხნი ანუ მოსხნი, ახლანდელნი მესხნი და ჰერო-

*) იხილე „დროება“ № 95.

მოიცდება ახალი იარაღი (приборъ), რომელიც რუსის ინჟენერს ამედეი ზენშელს მოუგონია და რომლისთვისაც «ფონოსოგრაფი» (ხმის ჩამწერი) დაურქმევია. იმედი აქვთ, რომ თუ ეს იარაღი შემოღებულ-იქმნა, სტენოგრაფები საჭირონი აღარ იქნებიან.

— «პეტერბურგის ლისტოკიდამ» ვტყობილობთ, რომ პეტერბურგში დიდი მომზადება არის ხალხთა-შორის ბაღოსნობის გამოფენისათვის. მიხაილოვის მანეჟი ფანტასტიურს სურათს წარმოადგენს: აქა-იქა გამართული არის შადრევნები, აუზები, დაკიდებული ხიდები და სხვ. ზალას 120 ოთხკუთხი საჟენი უჭირავსო; ამას გარდა, მანეჟის ეზოში აუშენებიათ ცალკე პავილიონები.

— იმავე გაზეთსა სწერენ ჟიტომირიდან: ტუსაღი აბბაკუმ იზვოი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილობით უნდა სატუსაღო როტებში გაეგზავნათ ავად გახდა და მოსარჩენად ციხის სამკურნალოში დააწვინეს; სამკურნალო შიგ ციხეში არის, მეორე სართულში. ფანჯრებს, როგორც ციხეში, აგრეთვე სამკურნალოში, რკინის მესერი აქვს გაკეთებული. ტუსაღი მარტო ყოფილა სამკურნალოში, გაქცევა მოუნდომია და ამ განზრახვის შესასრულებლად შემდეგი ეშმაკობა უხმარია: სულ მთლად გაშიშვლებულა, ქონი წაუსვამს მთელს ტანზედ და ფანჯრის რკინებისთვისაც, რომ უფრო თავისუფლად შესძლებოდა გაძრომა და მართლადაც გამძვრალა. წინადვე ზეწარი დაუჭრია, ნაჭრები მოუბამს ერთმანეთისთვის და ჩაუკიდნია ძირს. ამ თოკისა და კედელში გაკეთებულ საფეხურების საშუალებით ჩასულა დაბლა და გაქცეულა.

— რიგის გაზეთები შემდეგ ამბავს გვიამბობენ, რომელიც რეველში მომხდარა: კაპიტანს პ—ს თავის ოთხი კვირის ყმაწვილისთვის ძიძა სჭერია. ძიძას კაპიტანთან დგომა არ მოსწონებია და წასვლა მოუნდომია, მაგრამ თავი არ დაუნებებიათ. ამას ძალიან გაუჯავრებია ძიძა და გადახდა მოუნდომია; დღესასწაულების წინად აბანოში წასულა დ შინ აღარ დაბრუნებულა, დიდ-ხანს არ გაუვლია ამის წასვლის შემდეგ, რომ ყმაწვილს საცოდავად ტირილი დაუწყვია. მალე ყმაწვილი მომკვდარა და, როცა გაუსინჯავთ, უნახავთ, რომ მთელ ტანზე წასმული ჰქონია კარბოლის სიმჟავე. ძიძა დაუჭერიათ ციხეში.

## უცხოეთი.

— ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ტელეგრამიდან ეხსომება მკითხველს, რომ ბირკენგედში (ინგლისში) 9 აპრილს (ახ. სტ.) სამი ფენია დაატუსაღეს. ამ საქმის თაობაზე განსაკუთრებით ფიცხელი გამოძიება დაინიშნა. ეხლა, როგორც გაზეთებიდგან ვტყობულობთ, გამოძიება უკვე გათავებულა და 26 აპრილს ბირმინგამის პოლიციის სამმართველოში განუხილავთ. გამომძიებელს ბევრი რამ შესანიშნი და საყურადღებო ფაქტი აღმოუჩენია ამ საქმის გამოძიებით. სხვათა შორის, ისიც, რომ დინამიტის ყუმბარები, რომელნიც ირლანდიელს ამერიკელს დელის უპოვნეს ჯიბეში, როდესაც ბირკენგედში დაატუსაღეს იგი, დიდი შენობების ასაფეთქებლად კი არა, თითო კაცის მოსაკლავად ყოფილან დამზადებულნი. ყუმბარები ხელით სასროლნი არიან თურმე.

როდესაც ბირმინგამში მცხოვრები იაგანის ბაღი გაუჩხრეკიათ, რომლის სახლებშიაცა მდგარა დელი, ერთი ხის ძირი გამოუთხრიათ და იქ, ფესვებ ქვეშ, უპოვნიათ თუნუქის ბოთლი, რომელშიაც უნახავთ ფრიად საყურადღებო დოკუმენტები, როგორც მაგალითად, პროექტი ირლანდიის რესპუბლიკურის წყობილებისა, სია ბირმინგამელ იარაღის მკეთებელთა, რომელთაც ფენიების საზოგადოებასთან კავშირი აქვთ, და ბოლოს ერთი კიდევ სხვა დოკუმენტი შემდეგის შინაარსისა: „1879 წლიდგან 1881 წლამდინ მოპოებული იარაღი: 2844 თოფი, 702 რევოლვერი — სულ ერთიანად 3,546 ცეცხლ-სასროლი საჭურველი. წინად მოპოებული იყო: 1,194 ლულიდგან გასატენი თოფი, 1,656 უკანიდან გასატენი, 1,896 რევოლვერი — სულ ერთიანად 8,294 უწინდელი ცეცხლ-სასროლი საჭურველი." ამ დოკუმენტს ბოლოს შემდეგი შენიშვნა აქვს: «ზემოდ დასახელებული იარაღი სანდო კაცების ხელშია.»

ამას გარდა, იაგანის სახლში უპოვნიათ მრავალი თოფისა და რევოლვერების პატრონები. იქვე განჯინაში უპოვნიათ წერილები, რომელნიც მრავალს ირლანდიელს ეჭვს თურმე სდებენ. ამ წერილებში, სხვა მომქმედთა პირთა შორის, ხშირად იხსენიება ერთი ვიღაც, რომელსაც ეწოდება: «ცენტრი ბიერიდგან». ამ პირზე სწერია, რომ ის ძლიერ მარჯვე, ენერგიანი და ყოჩაღი კაცია: «მან ჩინებული წესი დააფუძნა ჩვენშიო", — ნათქვამია ნაპოვნ წერილებში.

ამ დოკუმენტებს და კიდევ სხვა მრავალთ ცნობათ პოლიცია დაურწმუნებია, რომ იაგანი ერთი შესამჩნევ მოქმედთაგანია ფენიების საზოგადოებაში და რომ ამ ბოლოს დროს იმის სახლში იკრიბებოდენ ფენიების აგენტები.

ამავე 26 აპრილს დუბლინში, იქაური ყარმების სარდაფში, ვიღაცებსაც თუნუქას კოლოფი უფეთქებიათ და ამ შემთხვევას შიშის ზარი დაუცია მცხოვრებლებისათვის. შენობა არ დაზიანებულა — მარტო ფანჯრის შუშები ჩამტვრეულა და შენობის კედლები გამჭვარტლულა. ამბობენ, ვითომც ამის მქმნელთ ნამდვილი უბედურების მოხდენა არა მდომებოდეთ და ვითომც შესაშინებლად ჩაედინოთ ეს ამბავი. იმ ადგილას, სადაც ფეთქება მოხდა, პატრუქი, თუნუქის ნაგლეჯები და ორი საათის მეხანიზმის ნამტვრევები უპოვნიათ.

— სტამბოლიდგან იწერებიან, რომ რუსეთის მმართებლობამ გარდაწყვეტით გამოაცხადა, რა ცვლილებასაც თხოულობს აღმოსავლეთ რუმელიის გამგეობაში, ადმინისტრაციაში. ს.-პეტერბურგის კაბინეტმა კრესტოვიჩი ოფიციალურად გამოაცხადა თავის განდიდატათაო, — იწერებიან იქიდგან. — კრესტოვიჩი ბულგარიელია, პარიჟში სწავლობდა კანონებს და როდესაც სტამბოლში დაბრუნდა, ერთი დაბალი თანამდებობა მიიღო იუსტიციის სამინისტროში, სადაც მან დიდ-ხანს დაჰყო. შემდეგ დაინიშნა იგი აღმოსავლეთ რუმელიაში ალეკო-ფაშის მთავარ მდივნად და შინაურ-საქმეთა

---

დოტის ტიბარენნი, სტრაბონის ტიბერნი, აგრეთვე კოლხნი შეადგენდენ ქართველ ნათესაობას, მაშ ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ ძველის-ძველად ამ ტომს სჭერია «როგორათაც მთელი სივრცე ჰალისის მდინარით, მცირე აზიაში, შავის ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე ის ადგილები, რომელნიც მტკვარსა და რახს, ანუ არაქს შუა მდებარეობენ». თუმცა ბ. პატკანოვს ეჭვი შემოაქვს მოსხებისა და კოლხების ქართველ ნათესაობაზე, მაგრამ იგი ამ ეჭვის საბუთს ვერას გვაძლევს. დავუმატებთ აქ, რომ კოლხების უცხო-ტომობაზე პირველად განსვენებულმა უსლარმა გამოთქვა თავისი აზრი, რომელსაც ის ამყარებდა ჰეროდოტის ზღაპარ-თქმულებაზე, ვითომც მე-XIV საუკუნეში ქრისტეს წინად მეგვიპტის მეფეს სეზოსტრისს შავი ზღვის პირად დაესახლებინოს ეგვიპტელები და ვითომც ამათგან მომდინარეობდენ კოლხიდელნი (Усларъ, древнѣйшія сказанія о Кавказѣ, 395—410). ამ აზრის წინააღმდეგი აზრი ეჭვ გარეთ აქვთ ახლანდელ ევროპიელ არხეოლოგთა და სჩანს კიდეც კვალი ოდესმე ქართველის ნათესავის გავრცელებისა ზემო-ხსენებულს სივრცეზე. მაშასადამე, არ უნდა იყოს წინააღმდეგი ისტორიულის სიმართლისა, თუ ჩვენ იმ აზრს დავადგებით, რომ ქართველ ნათესაობას უნდა დაენერგა მეხსიერებაში თავის წინაპართ მოძრაობა სამხრეთით და რადგანაც იგი ბაბილონო-ასსირიის მოსაზღვრე ყოფილა, თავისი ზეპირ-სიტყვაობა ბაბილონო-ასსირიის ზღაპრულის ისტორიისთვის შეუკავშირებია და შემდეგ გადასხვაფერებული დაბადებისა და სომხურის წყაროების გავლენით ჩაწერილა ჩვენს მატიანეში. თქმულება ერთ-შთამომავლობაზე ქართველთა და სომეხთა არ არის ძველი თქმულება. ამ თქმულებას არ იხსენიებენ სომხეთის პირველნი მემატიანენი მარ-აბას-კატინა, მოსე ხორენელი და სხვანი. ის არის მოგონილი, ჩვენის ფიქრით, მოსაზღვრეობის გავლენითვე ქართველთ მწერალთაგან და მითვისებული იმ სომხურ მემატიანეთაგან, რომელნიც, როგორც მაგალ., მხიტარ ანელი (XII საუკ.), სტეფანოზ ორბელიანი, ვარდან დიდი და მხიტარ აირივანქელი (XIII საუკ.) ჩვენ მემატიანეთ გავლენის ქვეშ იყვნენ.

დიდ განცვიფრებაში შედის ბ. პროფესორი, როდესაც მას მოჰყავს ქართლის-ცხოვრების თქმულება, «ვითომც თავდა-პირველად ქართველების ენა სომხური იყო, ვითომც შემდეგ ფარნავაზ მეფემ მთელს საქართველოში გასცა ბძანება, რომ ყველამ ქართული ილაპარაკოსო». — «გასაკვირველია, რომ ქართველ სახელ-წოდებათა ბერძნულმა დაბოლოებამ, როგორათაც ქართლ-ოს, მცხეთ-ოს, უფლ-ოს და სხ. არა თუ არავისში არ აღძრა პროტესტი და ღიმილი, არამედ საზოგადოდ გავრცელებულიც არისო. იგი და ხალხის აზრით ისტორიულ მნიშვნელობასაც უჩვენებსო და ამ ფანტაზიის ნაწარმოებს თვით ევროპიელნი მეცნიერნი, იმათ შორის სენ-მარტენი, შეცდომაში შეუყვანიაო». რადგანაც პატკანოვის ზოგიერთა გამონაწერთა საზოგადოდ ეჭვი აღძრეს ჩვენში მათ სინამდვილეზე, აქაც ქართული ენის გამო ეჭვში შევედით და მივმართეთ ტექსტსა და აი რა აღმოჩნდა. ქართლის-ცხოვრება ამ საგანზე ამბობს: «...აქამომდის (ესე იგი, ვიდრე სხვა-და-სხვა ტომი მოგროვდებოდა საქართველოში) ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს». მომეტებულ ვარიანტებში, რომელნიც პეტერბურგში იპოება, ნათქვამია: «აქამომდის ქართლოსიანთა ენა მხოლოდ ქართული იყო» (იხილე ქართ.-ცხ., გვ. 25 და შენიშვნა 3). «ფარნავაზმა განავრცო ენა ქართული (მარიამ დედოფლის ვარიანტით, ენა ქართლისა) და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა (მარიამის ვარიანტში, ქართლისა) და მანვე შექმნა მწიგნობრობა ქართული» (გვ. 32).

ამ გამონაწერის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლიან რამდენიმე დასკვნა დავდოთ, მაგრამ შეიძლება თუ არა ის მსჯელობა დავამყაროთ, რომ ძველი ქართლის-ცხოვრება უნდა იყოს დაწერილი სომხისაგან და ისიც მე-XII საუკუნეში, ეს თვით მკითხველისთვის მიგვინდვია. — რაიცა შეეხება ბერძნულ დაბოლოებას ზოგიერთის სახელ-წოდებისას, ამ საგანზე სხვების ყურადღებაც იყო მიქცეული; მაგრამ არის აქ გასაოცებელი? მოვიგონოთ, რომ ქრისტეს წინადვე მე-VI საუკუნიდამ მთელი აღმოსავლეთი პირი შავის ზღვისა მოფენილი იყო ბერძნების კოლონიებით და, უეჭველია, ამ კოლონიებს უნდა ჰქონიყო გავლენა ქართველებზე. ამ აზრს ამტკიცებს ქართლის-ცხოვრება: «და შეეწიეს ქართველთა ბერძენნიცა და მოკლეს ერისთავი სპარსთა»... «ვამოვიდეს

დეპარტამენტის დირექტორად. ის არის მშვიდი და წყნარი კაცი, თავდადებული პატრიოტი. როდესაც ბულგარიის და საბერძნეთის ეკლესიები ურთიერთ-შორის იბძოდენ, კრისტოვიჩი ყოველთვის ცდილობდა ორივე მხარე მოერიგებინა. ბულგარიის ექსარხოსმა განიზრახა ბულგარიის ეკლესიის განცალკევება საბერძნეთის ეკლესიიდგან და როდესაც მან ამ განზრახვით კრიზისი მოახდინა, კრისტოვიჩმა იმის მხარე არ დაიჭირა. — გაზეთების სიტყვით, რუსეთს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში, რომ, თუმცა სხვა სახელმწიფოებს არ მოსწონთ კრისტოვიჩი, მაგრამ, თუ ოსმალეთიც გამოაცხადებს მას კანდიდატად, არც ერთი სახელმწიფო არ გაუწევს წინააღმდეგობას. ამასთანავე გაზეთები იწერებიან, რომ არც ერთი სახელმწიფო არ გაბედავს თავის კანდიდატის გამოყვანას, იმისგამო, რომ რუსეთი ასე მტკიცედ ადგას კრისტოვიჩის კანდიდატობასა.

— მკითხველებს მოვაგონებთ, რომ რომის პაპა დიდი ხანია ჰფიქრობს რომის დატოვებას და თავის რეზიდენციის სხვაგან სადმე გადატანას. ეს ამბავი თან-და-თან უფრო მტკიცდება პარიჟის გაზეთები ნამდვილად ამბობენ, რომ ლევ XIII-ს ვატიკანში ცხოვრება ამას იქით შეუძლებლად მიაჩნია, რადგანაც, მისი ფიქრით, იტალიის მმართებლობა მეტის-მეტად ავიწროებს მას და მტკიცედ გადაუწყვეტია რომის და იტალიის დატოვება.

## შენიშვნები.

«ივერიის» აპრილის გამოსასვლელს ნომერში, სხვათა-შორის, იბეჭდება (დამატებად) ფრიად საინტერესო შემოკლებული ისტორია მთელი საქართველოს თავად-აზნაურობის გვარებისა, რომელშიაც მეცნიერი — ისტორიკოსი და უბრალო ცნობის — მოყვარე მკითხველიც იპოვიან ბევრს საყურადღებო ისტორიულ ფაქტებს. ჟურნალში ჯერ დაიბეჭდება ამერეთის თავად-აზნაურთა გვარებზე და მას შემდეგ იმერეთისაზე. ეს შემოკლებული ისტორია შედგენილია იმ დროს, როცა ქართლ-კახეთის მეფე გმირთა-გმირი ერეკლე, იმ ხნის ყველა ქვეყნებისაგან თითით საჩვენებელი რაინდი, შეეკრა ტრაქტატით რუსეთის იმპერატრიცას ეკატერინე მეორეს, ვითარცა მეფე ქართლ-კახეთისა და იმავ დროსვე მწე-მფარველი იმერეთის მეფის, გურიის და სამეგრელოს მთავრებისა... როგორც ის ერი არ არის ღირსი ერთა-თანა შერაცხვისა, რომელიც არ იკვლევს და არც სწავლობს თავის ისტორიას, ისე ცალკე თვითება (ინდივიდუუმი), კერძო პირიც არ ჩაითვლება ღირსეულ კაცად, უკეთუ მას არ ეხალისება შეისწავლოს თავისი გვარის შთამოება (происхожденіе) და თავ გადასავალი ძვირფასი მამულის ზოგადს ისტორიაში...

თუ ჩვენი ერი, როგორც ერი მხოლოდ ამ ჟამად გამოდის თავის ერობრივის ისტორიის ცნობიერად შესწავლის ასპარეზზე, ცალკე გვარეულობანი კი დიდი ხანია რაც წყურვილით ეტანებიან თავიანთ საგვარეულოზე ისტორიულს გადმონაცემებს... ამიტომაც, «ივერიის» რედაქციას, სულ რომ ცოტა ვსთქვათ დიდი უპრაქტიკობა მოუვა, თუ მოხსენებული შემოკლებული ისტორია ცალკე წიგნად არ გამოსცა. ამ ცალკე წიგნს ყველა გვარების თითქმის ყველა ოჯახის თავი შეიძენს, და ეს გარემოება, უეჭველად, ბევრს ჩვენის საერო ისტორიის გულგრილს კათაკმეველს მოარჯულებს საბოლოვოდ...

***

«ვეფხვის ტყაოსნის» მოსალოდნელის ჩინებულის გამოცემის გარდა, რომელიც ჯდება ათას თუმნად და რომლისთვის ახხმევინებენ ახალს შრიფტს და აჭრევინებენ თორმეტს სურათს — თბილისში ამ დღეებში გამოვა ერთი კლასიკური საუკეთესო ნაწარმოებთაგანი, სარგის თმოგველის თხზულების «ვისრამიანის» ძლიერ კარგი გამოცემა, ჩვენის ცნობილ ბიბლიოფილის პ. უმიკაშვილის რედაქციით. ამ რომანის ტექსტი შეიცავს 450-ოდე გვერდს საშუალო წიგნის ფორმატისას და ეკუთვნის ბრწყინვალე ხანას საქართველოს ისტორიისას, მე-XII საუკუნეს. რომანის თემად, როგორც მთელს დედა-მიწის ყველა რომანების ორ-მესამედში — აღებულია სიყვარული, რომლის სფეროში მოქმედებენ ვისი (ქალი) და რამინი (ვაჟი), ამ თხზულების გმირნი. ეს ფრიად გამრთობი და ხელოვნურად დაწერილი ნაწარმოები ერთი საუკეთესო მწერალთაგანისა (ერთი მსწავლული, როგორც („შინაურ ქრონიკაში“) წაიკითხავთ პეტერბ. იწერება, რომ ეს რომანი ფეჰლევიურიდამ უნდა იყოს ნათარგმნი,) ძვირფას განძად შეეძინება ჩვენს აწმყო წიგნთ-საცავებს...

***

ვინც ჩვენს წარსულს და აწმყო ცხოვრებას ცოტაც არის მაინც დაკვირვებია, ის შენიშნავდა, რომ ბევრი რამ ძვირფასი თვისება და კუთვნილება საერო ცხოვრებისა, რომელიც მტკიცედ დაცული გვქონებია იმ დროს, როცა ომიანობის გრიგალი მოდებული იყო კასპის ზღვიდამ შავს ზღვამდის და დარიელის ხეობიდამ არაქსამდე — დღეს მყუდროებისა და არა სისხლის ღვრის ჟამს — ხელიდამ გვეცლება... აგიღოთ, მაგალითად, ძველი მწიგნობრობა. ჩვენის მშობლებისადმი წინაპართაგან თითქმის უნაკლულოდ გადმოცემული, ამ აწმყო დროში, ჩვენს თვალწინ, ეს ძველი მწიგნობრობა, ეგ გონებითი, სულიერი და ზნეობითი სალარო ჩვენთა მამა-პაპათა, ჩვენისავე მამების უმეცრებისა და ჩვენის დაუდევრობის მეოხებით — თან-და-თან სამუდამოდ გვეკარგება, ხელიდამ გვეცლება... ვინ სანთელს ახვევს ძველ ხელთ-ნაწერებში, ვინ ჩაი-შაქარს, ვინ გირვანქობით ჰყიდის იარმუკაში. აი როგორ და სად იღუპება ის მანუსკრიპტები, რომელთაც ზედ აზისთ ბეჭედი ჰომეროს და რუსთაველის გენიისა, თამარის დიდებისა, დავითის სიწმიდისა და ერეკლეს გმირთა-გმირობისა!...

ამისთანა დღე ეწვია ზურაბ წერეთლის მდიდარს წიგნთ-საცავს (იმერეთში) და კიდევ უარესი მოელის მას ნესტორ წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, მისს აუარებელთ და გამოურკვეველთ მემკვიდრეთა ხელში... ეს წიგნთ-საცავი განსაკუთრებით მდიდარია ისტორიულის წერილებით, მეტადრე მე XVIII საუკ. ბოლოონდელ დროისა. თუმცა განსვენებულმა ნ. წერეთელმა ერთ ფუთზე მეტი წერილები, რომელიც გარკვევით სახავდენ

---

ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა მგრისის წყალს ქვემოთ კერძი ყოველი, დაიპყრეს მგრის წყლითაგან ვიდ'რე ციხე-გოჯამდე». რა არის მოთხრობა აზონზე, თუ არ ბრძოლა ქართველებისა გამძლავრებულ შავის ზღვის პირის ბერძნებთან? რას გვიმტკიცებს ძველი სამთავრო საკრპო სასაფლაო თავის ნაშთებით, რომელიც ამ ცოტა ხანში აღმოაჩინეს, თუ არ ბერძნების გავლენას ქრისტეს წინა-ქართველობაზე? მაშ რატომ არ შეიძლება, რომ თვით მათ ენასაც ჰქონიყო ზედ-მოქმედება ჩვენს ენაზე? ამ საფუძველზე აშენებს სახელ-განთქმული სენ-მარტენი შემდეგს თავის მსჯელობას, თუმცა ამ მსჯელობისთვის მას პატკანოვი სასტიკად ჰკიცხავს: «ბერძნების მეისტორიეთ არ გადმოუციათ ჩვენთვის არავითარი ცნობა ბერძენთ ბრძოლაზე კავკასიის ტომებთან; მხოლოდ ქართულ წყაროში ვპოულობ ამ თქმულებას, რომელიც ღირს-სახსოვარი და ჭეშმარიტებით სავსე ფაქტია». (Mém. sur l' Arm., II, 180, n. e.).

ჩვენი სიტყვა მეტად გავრცელდა და ამისათვის პატკანოვის შრომას თავს ვანებებთ, მაგრამ საჭიროთ ვხადით აქ: 1) განვმარტოთ, რა არის ქართლის - ცხოვრება, რა აზრით არის დაწერილი, და რა საბუთებს გვაძლევს თვით თავის შინაარსით თავის ისტორიულის ღირსებისას და 2) ვაჩვენოთ, რაზედ არის ახლა შეჩერებული ქართული წყაროების შესწავლა და რა ღონის-ძიებაა საჭირო, რომ ეს შესწავლა აღვადგინოთ და მჭიდრო საფუძველზე დავამყაროთ.

საქართველოს ისტორიული მატიანე ძველის დროდამვე ცნობილი ქართლის-ცხოვრებად. ასე უწოდს მას «სომხური ხრონიკა», ანუ უკეთ, «ქართული ხრონიკა», რომელიც თავდება დავით აღმაშენებლის სიკვდილით, 1125 წ. არ იციან, როდის არის იგი თარგმნილი სომხურ ენაზე, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს თარგმანი ეკუთვნის დავითის თანა-მედროვეს. „თვით ჩვენის თვალით გვიხილავსო, — ასე აბოლოებს მთარგმნელი თავის შრომას, — სოლომონ ბრძენის სიტყვების აღსრულება დავით მეფეზე». დავითზე ბევრით შემდეგ რომ თარგმნილიყო ეს ხრონიკა, უეჭველია, მთარგმნელი მომავალს ცხოვრებასაც განაგრძობდა.. «ქართლის-ცხოვრებად» უწოდს ქართულ მატიანეს აგრეთვე მე-XIII საუკუნეში სტეფანოზ ორბელიანი. ერთი მცხეთის გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ახლა საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში არის, მცხეთის წიგნთ-საცავში იხსენიებს, სხვათა-შორის, ქართლის-ცხოვრებას. ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე ადრინდელს სამს ვარიანტს ქართლის-ცხოვრებისას: ერთი, ხუცურად ნაწერი, რომელსაც აქვს იმერეთის მეფის ალექსანდრე მე-V-ის მინაწერი 1725 წ., ეკუთნის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას; მეორე, მხედრული, რუმიანცოვის მუზეუმშია: ორივე თურმე შეადგენდა თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილებას; მესამე, მხედრულივე, არ ვიცით ვისია, მაგრამ ამ ორი თვის წინად ჩვენ ჩაგვივარდა ხელში: ეს უკანასკნელი გადაწერილია, როგორც ზევით მოვიხსენეთ, 1636 — 1646 წ. როსტომ მეფის ცოლის მარიამ დედოფლისათვის. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სხვა ძველი ვარიანტებიც უნდა აღმოჩნდეს საქართველოს კერძო სახლებში და მონასტრებში.

ჩვენ უმიზეზოდ არ ვუწოდთ ქართლის-ცხოვრების დედნებს ვარიანტებად. რამდენი დედანიც კი არის ახლა სხვა-და-სხვა დროისა, ყველა განსხვავდება ერთი მეორეში თავის შინაარსით და რაც ძველი დედანი, ისე განსხვავება მეტია. ქართლის-ცხოვრების გამოცემის დროს ბროსსე ხელმძღვანელობდა ოთხისა თუ ხუთის ძველისა და ახალის დედნით და თვითეულის მათთაგანის ღირს-სახსოვარი განსხვავება ჩართულია დაბეჭდილს ქართლის-ცხოვრებაში; მაგრამ, საუბედოდ, ისეა ჩართული, რომ თუ ზედ-მიწევნით არა გაქვთ ცოდნა ამ საგანზე, თქვენ არ შეგიძლიანთ შეიგნოთ, რა ეკუთნის ძველს დროს და რა ახალსა. ამის გამო თქვენ იბნევით და აუცილებლად შეცდომაში შესდიხართ. აქ საჭიროა დიდი და ხანგრძლივი შრომა, რომ ეს შეცდომა აიცილოთ თავიდამ; საჭიროა შემოწმება ფრანცუზულის თარგმანისა ქართულის ტექსტით, რადგანაც თარგმანი ხან-და-ხან ქართულზე დაშორებულია; საჭიროა შედარება ერთის ვარიანტისა მეორესთან, შეთანასწორება უცხო ქვეყნების ხრონოლოგიასთან და მოთხრობასთან, და სხ. ამ გვარმა შეთანხმებამ აღმოაჩინა შემდეგი თვისებები ქართლის-ცხოვრებისა.

დ. ბაქრაძე.

(შემდეგი იქნება)

ზურაბის პირადობას, დააწვევინა, მაგრამ მაინც ბევრი და ბევრი ისეთი რამ მოიპოვება შიგ, რომელიც ნამდვილ განძად ჩაითვლება ჩვენის მწიგნობრობისა და ისტორიისათვის...

მოგვიქცევია ამ გარემოებაზე ყურადღება «წერა-კითხვის საზოგადოების» გამგეობის წევრთა, რომელთა პირ-და პირს მოვალეობას შეადგენს ამ წიგნთ საცავის გადარჩენა ხსენებულის ხვედრისაგან, ჩვენის გონებითის და ზნეობითის საუნჯის გასამდიდრებლად...

ჯ.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთ სააგენტოსი“)

1 მაისს.

**მინსკი.** დღეს აქაურს ოლქის სასამართლოში დაიწყო ანტონ, ალბინ და ევა დაშკევიჩების და თევდორე კალივაიკოს საქმის გარჩევა; ამათი დანაშაული ის არის, რომ მათ ანგაართ-მოყვარეობით შეუგულიანებიათ ბობრუის და იგუმენის მაზრების გლეხნი უსურიის მხარეში გარდასახლებულიყვნენ. ანტონ დაშკევიჩი, სხვათა შორის, უკითხავდა თურმე გლეხებს ტყუილს უქაზს და აქეზებდა მათ, რათა მთავრობისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ.

**ასტრახანი.** დღეს, პარაკლისის შემდეგ, გაისტუმრეს აქედამ პეტრო-ალექსანდროვსკში შხუნით „დემოვენდით“ 264 ახლად აკრეფილი და სარატოვში მომზადებული ჯარის-კაცები; მათთან ერთად წავიდა ექსპედიციაც, რომელსაც შეადგენენ გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ბელიავსკი და გზის ინჟენერები: ლიაპუნოვი და ეზერსკი; ამათ უნდა გამოიკვლიონ უსტ-იურტის და ამუ-დარიის გზა და აგრეთვე კუტუკში გააშენონ სოფელი და პორტი.

**ბერლინი.** პრინცი ვილჰელმი, იმპერატორის შვილის-შვილი, ხუთშაბათს პეტერბურგში მიდის. რეიხსტაგმა პირველი და მეორე წაკითხვის შემდეგ უბაასოდ მიიღო ანონ-პროექტი საფეთქებელ ნივთიერებათა ხმარების აკრძალვაზე.

**ბერნი.** დღეს რჩევა სჯის კანონმდებლობით ზომებს შესახებ ხელმწიფის-მკვლელთა, რომელნიც შვეიცარიაში არიან გაქცეულნი.

**ლეიპციხი.** კრაშევსკის საქმე: დღეს მოწამემ, მაიორმა პერტესმა, გამოაცხადა, რომ იმ ცნობათა გამოაშკარავებას, რომელნიც შეეხებიან გერმანიის ჯარების საფრანგეთის სამზღვარზე შეკრებას, დიდი მნიშვნელობა აქვსო; წაიკითხეს აგრეთვე ადლერის წერილი, რომელშიაც სთხოვს კრაშევსკის შეჰკრიბოს საიდუმლო ცნობები. მოწამემ რუსის გადამდგარმა მაიორმა ბოლდანოვიჩმა აჩვენა, რომ ზალესკის გარდასცა პარიჟში ადლერისაგან მიღებული ცნობები.

**პარიჟი.** განკარგულება მოახდინეს, რათა ნელ-ნელა დაცალონ ტონკინი საფრანგეთის ჯარებმა.

2 მაისს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში 303 ხმის უმეტესობით 275 წინააღმდეგ უარყოფილ იქმნა წინადადება გიქს-ბიჩისა შესახებ მთავრობისადმი განკიცხვის გამოცხადებისა მისის პოლიტიკისათვის ეგვიპტეში.

**ლეიპციგი.** კრაშევსკის საქმე: გუშინდელი სხდომის დასასრულს წაკითხულ-იქმნა ოფიციალური ქაღალდი, რომელშიაც ნათქვამია, რომ 1864 წლიდამ არსებობდა პარიჟში პოლშური საიდუმლო საზოგადოება პოლშის აღსადგენადაო. ამ საზოგადოებას თავისი მოქმედება აღმოუჩენია 1866 წლის და სამოც-და-ათ წლებში შეუკრებია ყველგან სამხედროს სტატისტიკური ცნობები. მასუკან, რაკი საზოგადოებას თავისი მოქმედება მოუსპია, მისნი წევრნი ჯაშუშებად გამხდარან და გამბეტას მიუნდვია ამ საზოგადოების უწინდელ წევრთათვის ბიუროს გამართვა ცნობების მოგროვებისათვის გერმანიიდამ; ავსტრიიდამ და რუსეთიდამ. ამ ბიუროს მოქმედებას ცენტრად დრეზდენი იყო და შრომის ფასს წევრებს კრაშევსკი აძლევდა, კრაშევსკი ამაზედ უარს ამბობს.

**მოსკოვი.** გუშინ მოსკოვის საადგილ-მამულო ბანკში აღმოაჩინეს რომ ამ ბანკს 127000 მ. სესხად შეცდომით გაუცია. ბანკს ეს ფული ვიღაც ბელიაევისათვის მიუცია იმისთანა მამულში, რომელიც არ არსებობს, მაგრამ უსმანის მაზრაში კი ჩაურიცხავთ. ყველა დოკუმენტები ამ საქმის შესახებ ყალბი აღმოჩნდენ.

# განცხადებანი

მაისის 8-ს დღესა 1884 წ. 12 საათზედ ძონნო-ქელეზნის გზის უპრავლენიე ნიშნამს ტორგს თივისას ცხენებისთვის ოც-და-თორმეტ ათასს ფუთიდან ორმოცი-ათას ფუთამდინ. ვისაც სურს ალება, შეუძლიანთ ყოველ დღე უპრავლენიაში წაიკითხონ ამ ფოდრატების პირობები. (3—2)

**ზედამხედველი კომიტეტი თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა** აცნობებს ბბ. წევრთ-დამფუძნელებთ და მსესხებელთა, რომ 1884 წლის 6 მაისისათვის არწრუნის შენობაში დანიშნულია საზოგადო ყრილობა, რომელზედაც ბ.ბ. წევრთ მოხსენდებათ გასასინჯად და დასამტკიცებლად დადგენილობანი შესახებ შემდეგი საგნებისა:

1) მოხსენდებათ ანგრიში შესახებ ბანკის მოქმედებისა საანგარიშო 1883 წელს.

2) ყრილობამ უნდა უჩვენოს ის საზოგადოდ სასარგებლო საჭიროებნი, რომელთაც უნდა მოხმარდეს საანგარიშო 1883 წლის შემოსავლიდგან გადადებული 22,426 მანათი და 19 კაპ.

3) მოხსენდებათ სმეტა ბანკის მართველობისათვის 1884 წლისათვის საჭირო გასავლისა.

4) უნდა გაისინჯოს მოხსენება სარევიზიო კომისიისა. ეს კომისია ამორჩეულია დადგენილობისამებრ თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებელ წევრთა ჩვეულებრივი ყრილობისა, რომელიც მოხდა 1883 წლის 1 და 3 მაისს. ამ კომისიას უნდა განეხილა მთელი საქმის წარმოება, ყველა ანგარიშები და ოპერაციის მსვლელობა ბანკისა მისი რვა წლის არსებობის დროს, და კიდევ სხვა საგნები, ჩამოთვლილნი ხსენებული საზოგადო ყრილობის დადგენილობებში.

5) უნდა ამოირჩიონ შვიდი წევრი ზედამხედველი კომიტეტისა ნაცვლად: თ. ი. ა. ანდრონიკოვისა, თ. გ. ი. თარხანოვისა, თ. გ. მ. თუმანოვისა, ლ. ა. მალალოვისა, თ. დ. ზ. ბარათოვისა, თ. რ. შ. ერისთავისა და დ. ზ. უიფიანისა, რომლებიც გადიან თავიანთ თხოვნისამებრ.

6) უნდა ამოირჩიონ გამგეობის ერთი წევრი ნაცვლად თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილისა, რომელიც გადის რიგისამებრ, და კიდევ ორი წევრი დამფასებელი კომისიისა ნაცვლად: თ. ბ. ი. რატიშვილისა და თ. რ. ა. ჩოლაყაშვილისა, რომელნიც გადიან. უნდა ამოირჩიონ ეგრეთვე მათი კანდიდატებიც.

თავჯდომარე ზედამხედველი კომიტეტისა თ. ი. ანდრონიკოვი.

(6—5)

**ინგლისური რკინის კრაოტები**



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოგნიკი, საწყაო, სგები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხათანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—6)


**შპალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

ძმების ტარნოპოლისა

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—2)


# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—21)

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Мая 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.